

შპს გიგანტი 94
ს/ნ 209437180

ფინანსური ანგარიშგება მსს ფასს-ის მიხედვით
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში	3
ფინანსური ანგარიშგება	4
სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება.....	5
ფულადი სახსრების მოძრაობა	6
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები.....	7
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	11-13

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „გიგანტი 94“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრისათვის, საქმიანობის შედეგებს და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ის მიხედვით.
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით, რაც იმას ნიშნავს, რომ საწარმო არ აპირებს და ასევე პროგნოზირებად მომავალში ჯგუფის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიის ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
 - ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება მსს ფასს-ის მოთხოვნებს;
 - სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
 - კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2022 წლის 31 დეკემბრის თარიღისათვის, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2023 წლის 30 სექტემბერს

დირექტორი:

ნუკრი გიგაური



მთავარი ბუღალტერი:

დავით დავითელაშვილი



შპს გიგანტი 94

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ერთეული ლარი)

შენიშვნა 31.12.2022 31.12.2021

აქტივები

გრძელვადიანი აქტივები

ძირითადი საშუალებები	9	1,639,924	1,636,055
საინვესტიციო ქონება			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,639,924	1,636,055

მოკლევადიანი აქტივები

ფული და ფულის ექვივალენტები		3,502	385,863
სავაჭრო მოთხოვნები		1,136	0
გადახდილი ავანსები		0	628,300
გაცემული სესხები		3,038,553	0
მარაგები		422,124	4,726,046
სხვა მიმდინარე აქტივები		41,931	1,035,258
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,507,246	6,775,467

სულ აქტივები		5,147,170	8,411,522
---------------------	--	------------------	------------------

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი		5,266	5,266
გაუნაწილებელი მოგება		4,481,897	69,893
სხვა რეზერვები			
სულ კაპიტალი		4,487,163	75,159

ვალდებულებები

გრძელვადიანი ვალდებულებები			
გადასახდელი პროცენტები		289,760	0
სასესხო ვალდებულებები		183,881	331,242
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		473,641	331,242

მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულება		28,335	0
საგადასახადო ვალდებულებები		0	0
სხვა ვალდებულებები		736	0
მიღებული ავანსები		157,295	8,005,121
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		186,366	8,005,121

სულ ვალდებულებები		660,007	8,336,363
--------------------------	--	----------------	------------------

სულ კაპიტალი და ვალდებულებები		5,147,170	8,411,522
--------------------------------------	--	------------------	------------------

ხელმოწერი პირები:

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:




ნუკრი გიგაური

დავით დავითელაშვილი

შპს გიგანტი 94

სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ერთეული ლარი)

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები	4	5,666,239.00	1,146,189
საერთო მოგება		5,666,239.00	1,146,189.00
ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯი	5	- 2,564,615	- 228,642
არასაოპერაციო მოგება/ზარალი	6	6,258	64,619
ფინანსური ხარჯი	7	- 21,166	- 137,585
მოგება დაბეგრამდე		3,086,716	715,343
მოგების გადასახადის ხარჯი			
პერიოდის მოგება		3,086,716	715,343
საპროცენტო შემოსავალი	4	179,923	
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		3,266,639	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	8	3,678,634	
გაუნაწილებელი მოგება პერიოდის დასაწყისში		75,159	407,612
დივიდენდი		- 2,533,269	- 1,047,796
გაუნაწილებელი მოგება პერიოდის ბოლოს		4,487,163	75,159

ხელმოწერი პირები:

დირექტორი:



ნუგზარ გიგაური

მთავარი ბუღალტერი:



დავით დავითელაშვილი

ფულადი სახსრების მოძრაობა			
	31/12/2022	31/12/2021	
ფულადი სახსრების მოძრაობა			
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	4241367	2197014	
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0	
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-4622117	-2123731	
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-380750	73283	
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტზე	-1611	-64619	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშებო პერიოდის დასაწყისში	385863	377199	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშებო პერიოდის ბოლოს	3502	385863	




ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1 ზოგადი ინფორმაცია

შპს „გიგანტი 94“ (შემდგომში „კომპანია“) დარეგისტრირდა 1996 წლის 09 სექტემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია ქ.თბილისი გლდანის „ა“ მ/რ ხიზანიშვილის ქ.#2. მისი ძირითადი საქმიანობაა საკუთარი ან იჯარით აღებული არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება/მართვა და ასევე საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი კომპლექსების მშენებლობა რეალიზაცია.

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებლები არიან:

	2022 წ.	2021 წ.
მერაბ სამადაშვილი 3/5 01020002186	33,3%	33,3%
რამაზ თედორაძე 3/5 47001001394	33,3%	33,3%
გიორგი ხაბელაშვილი 3/5 59001013321	33,3%	33,3%

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 30 სექტემბერს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ

2 მომზადების საფუძვლები

2.1. მსს ფასს-ის პირველად გამოყენება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად, რაც გამოქვეყნებულია საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ. ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ყველა თანხა წარმოდგენილია ქართულ ლარში და დამრგვალებულია ერთეულ ლარამდე.

2.2. ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. ამ განსჯის დროს კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის მიმდინარე მდგომარეობა, მომგებიანობა, ფულადი ნაკადები, რაც საშუალებას მისცემს კომპანიას განაგრძოს ფუნქციონირება ანგარიშგების თარიღიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისაგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების სააღრიცხვო ღირებულებებზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლებსა და ხარჯებზე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან, შეფასებების გადახედვა მოხდება ყოველწლიურად და კორექტირებები აისახება იმ წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც შესაბამისი ცვლილება მოხდა.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

3.1. აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია როდესაც:

- მოსალოდნელია ან განზრახულია მათი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში.
- ფლობის ძირითადი მიზანია გაჭრობა.
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში, ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს ან მათ ექვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მათი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ანგარიშგების შედგენის თარიღიდან.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის ან 12 თვის განმავლობაში (რომელიც უფრო გრძელია), ან
 - ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ 12 თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.
- ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

3.2. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან შიდა და გარე ფაქტორები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლებელია ვერ მოხდეს. ასეთ შემთხვევაში გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სხვა არასაოპერაციო ხარჯების ნაწილში. შეკეთება-განახლების ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდით და შედის საოპერაციო ხარჯებში, თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან როდესაც ის მზად არის ექსპლუატაციისათვის. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალების მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგი შეფასებითი მაჩვენებლების მიხედვით:

წელი

ნაგებობები	20
ძალოვანი მოწყობილობები	4-6
ელექტრონული მოწყობილობები	4-6
მსუბუქი კონსტრუქციები	4-6

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულებისა და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და შესაბამისად კორექტირება ხდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს. ჩამოწერა ხდება მაშინ როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავალსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პერიოდისათვის როდესაც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

3.3. მარაგები

მარაგების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. მარაგების შემენის დანახარჯები მოიცავს მათი შემენის ღირებულებას, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანომ კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მარაგების შემენასთან. სავაჭრო ფასდაკლება და სხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შემენის დანახარჯების გაანგარიშებებში. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიის მარაგები ძირითადად მოიცავს ჩაუმქალი კირის წარმოებისთვის საჭირო ნედლეულს და მზა პროდუქციას.

კომპანიაში მარაგების ჩამოწერა ხორციელდება „საშუალო შეწონილი“ („MIDL“) მეთოდით.

3.4. ამონაგების აღიარება

საქონლის გაყიდვიდან ამონაგების აღიარება ხდება მაშინ როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, ეს არის საკუთრების უფლების გადაცემის მომენტი და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება. ამონაგები მისაღები ან მიღებული ანაზღაურების რეალური ღირებულების ტოლია.

3.5. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა. პროცენტის ხარჯი აღიარებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით.

3.6. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების და წარდგენის ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს,

ოპერაციები სხვა ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება მის ფასს მოთხოვნის შესაბამისად. კერძოდ:

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები აისახება საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) ტრანზაქციის განხორციელების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები გადაფასდება, ამ თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმავე პერიოდში. უცხოური ვალუტით მიღებული არაფულადი მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით, მათი გადაფასება საანგარიშგებო თარიღისათვის არ ხდება.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი იყო შემდეგი:

	31.12.2022	31.12.2021
ლარი/1 აშშ დოლარი	2.7020	3.0976

3.7. გადასახადები

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების თანახმად შეიცვალა მოგების გადასახადი, ახალი კანონის მიხედვით გადასახადის განაკვეთი ნულოვანია იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით. ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, ასევე ზოგიერთი ტრანზაქცია რაც საგადასახადო კოდექსის მიხედვით ითვლება მოგების განაწილებად. აღნიშნული ცვლილებების გამო არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები აქტივებსა და ვალდებულებებში, შესაბამისად არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი ან ვალდებულება.

სხვა გადასახადები (გარდა მოგების გადასახადისა) აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება შესაბამისი ვალდებულება. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

3.8. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება სალაროში არსებული ფულისაგან და ბანკის ანგარიშებისაგან.

4. ამონაგები		
ამონაგები რეალიზებული პროდუქციიდან		
ამონაგები გაცემული იჯარიდან		495,831
ამონაგები სამსენებლო ხელშეკრულებებიდან		5,170,408
საპროცენტო შემოსავლები		179,923
სულ ამონაგები		5,846,162

5. ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები		
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		-2,406,665
შრომის ანაზღაურება		-34,744
ცვეთა და ამორტიზაცია		-79,399
სხვა საგადასახადო ხარჯი		-16,952
კომუნალური ხარჯი		-7,135
სამეურნეო ხარჯი		-4,237
საკონსულტაციო ხარჯი		-6,740
საკანცელარიო და საოფისე ხარჯები		-1,952
საბანკო ხარჯი		-2,772
დაზღვევა		-3,632
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები		-387
სულ საოპერაციო ხარჯი		-2,564,615

6. სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა		
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი		6565
კონვერტაციის ხარჯი		-307
სულ შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა		6,258

7. ფინანსური ხარჯი		
საპროგრესო ხარჯი		-21,166
სულ ფინანსური ხარჯი		-21,166

8. სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
აღნიშნული თანხა წარმოადგენს, ჩატარებული შიდა აუდიტის შედეგად გამოვლენილ სხვაობას, რაც განაპირობა 2020-2021 წლებში მიღებული ავანსების ჩახურვის პერიოდის ცვლილებამ (ბინების რეალიზაცია ბუღალტერიაში აისახა საჯარო რეესტრში დაფიქსირებული გადაფორმებების შესაბამისად). ვინაიდან მიღებული ავანსები სსკ-ის მიხედვით დაბეგრილი იყო, ავანსების ჩახურვას ბიუჯეტის მიმართ დამატებით დასარიცხი/შესამცირებელი თანხების გამოვლენა არ გამოუწვევია და ცვლილებები შეეხო მხოლოდ ფინანსურ ანგარიშგებებს, სადაც შესაბამისად შემცირდა მიღებული ავანსები, თვითღირებულებით ჩამოიწერა რეალიზებული ბინები და შესაბამისად გაიზარდა გაუნაწილებელი მოგება. აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენი მხრივ ანგარიშგების პორტალზე გამოხოვილ იქნა წინა პერიოდის ანგარიშგებები, რათა სრულფასოვნად ჩასწორებულიყო ზემოთხსენებული ცვლილებები, სამსახურის მხრიდან არ მოგვეცა უფლება ცვლილებები შეგვეტანა წინა პერიოდების გამოთხოვილ ანგარიშგებებში. მიმდინარე და შემდგომი პერიოდების ანგარიშგების სწორად წარმოსადგენად წემოთაღწერილი ოპერაციებიდან წარმოშობილი გაუნაწილებელი მოგება ჩვენს მიერ ასახულ იქნა "სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში" გრაფაში.		3,678,634
სულ სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		3,678,634

9. ძირითადი საშუალებები	მიწის ნაკვეთი	ნაგებობები	ბალოვანი მოწყობილობები	ელექტრონული მოწყობილობები	მსუბუქი კონსტრუქცია
31 დეკემბერი 2021	166050	1,541,703	5,679	2,735	3,155
შემოსვლა					
გასვლა		-		-	-
ცვლილება		77,085	1,135	547	631
31 დეკემბერი 2022	166,050	1,464,618	4,544	2,188	2,524